

დამტკიცებულია: 20.04.2018წ.



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკისთვის ნაჩუქარი დოკუმენტების მიღებისა და შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წესი არეგულირებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის ნაჩუქარი დოკუმენტების მიღებისა და შეფასების პროცედურებს.
2. წესი შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ზოგად დებულებებთან.

მუხლი 2. დოკუმენტების (წიგნების) საჩუქრად მიღება

დოკუმენტების (წიგნების) საჩუქრად მიღება ხორციელდება მჩუქებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 3. საჩუქრად მიღებული წიგნების შეფასება

1. საჩუქრად მიღებული წიგნების შეფასება ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტში საგანგებოდ შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე.
2. ინფორმაცია მოიცავს დოკუმენტის შეფასებას სამეცნიერო, საგანმანათლებლო და პრაქტიკული საქმიანობის მიზნობრიობის თვალსაზრისით, და შესაბამისი ხასიათის ლიტერატურის საბაზრო ღირებულებას.

მუხლი 4. ნაჩუქარი დოკუმენტების აღრიცხვა

1. კომისიის მიერ ფორმდება აქტი, რომელშიც განისაზღვრება ნაჩუქარი დოკუმენტების ერთეულის ღირებულება, საერთო ფასი და გადაეცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისთვის
2. ნაჩუქარი დოკუმენტების ღირებულების განმსაზღვრელი აქტი გადაეცემა საფინანსო სამსახურს აღრიცხვისთვის.

მუხლი 5. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკისთვის ნაჩუქარი დოკუმენტების მიღებისა და შეფასების წესში ცვლილებები და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით.